KA030143760919417

№ 01-20639 **26 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 3-5 ოქტომბერს სომხეთში ქ. ერევანში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ დაგეგმილია შეხვედრა სამედიცინო აღჭურვილობის სფეროში რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქალბატონი ნათია ნოღაიდელი.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა, სასტუმრო, კვება) ანაზღაურდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნათია ნოღაიდელისათვის მიმდინარე წლის 2 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

დანართი:

1.ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის წერილი;

2.მოწვევის წერილი;

3.ელექტრონული ბილეთი.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია